

# სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

26 . 12. 2016 წელი

ეგზ. N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო  
დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო  
სისტემების მართვის დეპარტამენტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 85/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

1	შემოკლებანი:.....	3
2	შემაჯამებელი მიმოხილვა .....	3
3	აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	4
4	საქმიანობის მოკლე მიმოხილვა .....	5
5	გზების რეაბილიტაცია .....	8
5.1	საავტომობილო გზა „ორთაბათუმი-მასაური“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.....	8
5.2	საავტომობილო გზა „შუახევი-უჩამბა“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.....	9
6	გამარტივებული შესყიდვები .....	10
7	ინვენტარიზაცია .....	11

## 1 შემოკლებანი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - დეპარტამენტი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - საავტომობილო გზები.

## 2 შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

### გზების რეაბილიტაცია:

- დეპარტამენტის მიერ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ორთაბათუმი-მასაური“ კმ0+000 - კმ1+530 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებები განხორციელდა მოქმედი რეგულაციებისა და მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების პირობების დაუცველად.
- დეპარტამენტმა, შუახევის მუნიციპალიტეტის 5.2 ს/გზა „შუახევი-უჩამბა“ კმ0+000 - კმ3+500 მონაკვეთზე, ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან, სახელშეკრულებო ღირებულებით 940 450 ლარი. დეპარტამენტმა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება, განახორციელა იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლის მიერ არ იყო წარმოდგენილი ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისი საექსპერტო დასკვნა.

### გამარტივებული შესყიდვები:

- დეპარტამენტმა 2015 წლის განმავლობაში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განახორციელა 1 535 845 ლარის გადახდა იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ მომხდარა ინფრომაციის წარდგენა ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ.

### ინვენტარიზაცია:

- 2015 წელს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მატერიალური ფასეულობები, რომლებიც არ ირიცხებოდა დეპარტამენტის ბალანსზე. მოქმედი კანონმდებლობით, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით, ორგანიზაციაში გაიზრდება წმინდა ღირებულება, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი, რაც დეპარტამენტის მიერ არ განხორციელებულა.

ინვენტარიზაციის მასალების აუდიტით გამოვლინდა, რომ დადგენილი წესით არ არის გაფორმებული ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

### რეკომენდაციები

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები გაფორმდეს არსებული შეთანხმების პირობების და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და 10 დღის ვადაში ატვირთული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- დეპარტამენტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა მიღება განხორციელოს ისეთი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც პასუხობს ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს;
- სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შემთხვევაში, დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება დადგენილი წესის შესაბამისად, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით;
- დეპარტამენტმა უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი, დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მატერიალური ფასეულობების ღირებულებითი შეფასება და შესაბამისად, ორგანიზაციის წმინდა ღირებულების გაზრდა;
- დეპარტამენტმა უზრუნველყოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან წერილობითი ხელშეკრულებების გაფორმება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

### 3 აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ, მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

### აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს დეპარტამენტის 2015 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. ადმინისტრაციული ხარჯები;
2. გზების რეაბილიტაცია;
3. გამარტივებული შესყიდვები;
4. ინვენტარიზაცია.

### **აუდიტის ანგარიშის დანიშნულება**

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის 2015 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

### **აუდიტის ანგარიშის ფორმა**

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

## **4 საქმიანობის მოკლე მიმოხილვა**

საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქცია არის საავტომობილო გზების და სამელიორაციო სისტემების მართვა, მოვლა-შენახვა, შეკეთება, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი. აგრეთვე საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების პირობებში

საავტომობილო გზებზე შეუფერხებელი მოძრაობის და სამელიორაციო სისტემების გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. დეპარტამენტის უფროსი წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას და წარმოადგენს მას სხვა ორგანოებთან ურთიერთობაში. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებიც კოორდინაციას უწევენ დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას. დეპარტამენტს 2015 წლის საშტატო განრიგის თანახმად ყავდა 52 საჯარო მოხელე და ერთი შტატგარეშე მოსამსახურე, ასევე პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პერიოდში გაფორმებული ჰქონდა 428 შრომითი ხელშეკრულება, მათ შორის გზის მომვლელებთან, მექანიზატორებთან, უბნის უფროსებთან და სხვ.

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ტექნიკური განყოფილება;
- ბ) მელიორაციის განყოფილება;
- გ) სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება;
- დ) საერთო განყოფილება;
- ე) საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება;
- ვ) მატერიალური რესურსებისა და მექანიზაციის განყოფილება.

დეპარტამენტი 2015 წელს ახორციელებდა ორ პროგრამას: „საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“, რომელც თავის მხრივ მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას. სრული ინფორმაცია პროგრამის ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით (ლარებში):

ორგ. კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა	წლიური დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების პროცენტი
03 06	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	25,189,320	27,834,820	26,168,509	94.01%
	ხარჯები	6,131,940	5,803,889	5,329,822	91.83%
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	844,500	844,500	832,674	98.60%
	საქონელი და მომსახურება	5,287,440	4,948,989	4,486,843	90.66%
	სხვა ხარჯი	0	10,400	10,305	99.09%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	19,057,380	22,023,452	20,831,209	94.59%
	ვალდებულებების კლება	0	7,479	7,477	99.97%
03 06 01	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა	959,200	993,200	980,614	98.73%

	ხარჯები	949,200	946,219	934,376	98.75%
	მ.შ. შრომის ანაზღაურება	844,500	844,500	832,674	98.60%
	საქონელი და მომსახურება	104,700	101,719	101,702	99.98%
	სხვა ხარჯი	0	0	0	0.00%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,000	44,000	43,259	98.31%
	ვალდებულებების კლება	0	2,981	2,980	99.96%
03 06 02	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	24,230,120	26,841,620	25,187,894	93.84%
	ხარჯები	5,182,740	4,857,670	4,395,446	90.48%
	საქონელი და მომსახურება	5,182,740	4,847,270	4,385,141	90.47%
	სხვა ხარჯი	0	10,400	10,305	99.09%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	19,047,380	21,979,452	20,787,951	94.58%
	ვალდებულებების კლება	0	4,498	4,497	99.98%
03 06 02 01	გზების რეაბილიტაცია	15,374,280	15,364,489	15,007,288	97.68%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,374,280	15,364,489	15,007,288	97.68%
03 06 02 02	ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2,488,100	4,624,589	3,987,393	86.22%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,488,100	3,291,589	2,685,174	81.58%
	არაფინანსური აქტივების ზრდა (სახელმწიფო ბიუჯეტი)	0	1,333,000	1,302,219	97.69%
03 06 02 03	სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია	300,000	283,574	250,158	88.22%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	300,000	283,574	250,158	88.22%
03 06 02 04	საგზაო ტექნიკის შეძენა	865,000	1,136,800	1,136,799	100.00%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	865,000	1,136,800	1,136,799	100.00%
03 06 02 05	საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	5,202,740	5,432,168	4,806,256	88.48%
	ხარჯები	5,182,740	4,857,670	4,395,446	90.48%
	საქონელი და მომსახურება	5,182,740	4,847,270	4,385,141	90.47%
	სხვა ხარჯი	0	10,400	10,305	99.09%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20,000	570,000	406,312	71.28%
	ვალდებულებების კლება	0	4,498	4,497	99.98%

## 5 გზების რეაბილიტაცია

გზების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით გზების კეთილმოწყობა, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 წელს განხორციელდა 25 დასახელების გზის მონაკვეთის მოწყობა, რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა 15 007 288 ლარი.

### 5.1 საავტომობილო გზა „ორთაბათუმი-მასაური“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები

#### კრიტერიუმი

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ტენდერის ჩატარების შედეგად დადებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან 10 დღის ვადაში<sup>1</sup>.

#### გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტის მიერ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ორთაბათუმი-მასაური“ კმ0+000 - კმ1+530 მონაკვეთზე, ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის საშუალებით<sup>2</sup>, ხელშეკრულება<sup>3</sup> გაფორმდა მიმწოდებელთან. მოგვიანებით მიმწოდებლის წერილით ირკვევა, რომ გზის გარკვეულ მონაკვეთზე (კვ8+94) გადის სასმელი წყალი, რის გამოც არ ეძლევათ პროექტით გათვალისწინებული დ-500მმ მილის დამონტაჟების საშუალება და ითხოვს პროექტში ცვლილებების შეტანას. დეპარტამენტმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და მიმწოდებელს მისცა თანხმობა შეეცვალა დ-500მმ მილი დ-300მმ მილით. აღნიშნული ცვლილება არ იყო შეთანხმებული პროექტანტთან. მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით. გამომდინარე აქედან, შეთანხმება განხორციელდა მოქმედი რეგულაციებისა და მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების პირობების დაუცველად. აღსანიშნავია, რომ ფარულ სამუშაოთა წარმოების აქტში მითითებულია, რომ კვ8+94 გზის მონაკვეთზე განხორციელდა დ-500მმ ლითონის მილების მონტაჟი.

<sup>1</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 20-ე მუხლის პირველი პუნქტი

<sup>2</sup> SPA150002560

<sup>3</sup> ხელშეკრულება N40, 10 მარტი 2015 წელი



## დასკვნა

დეპარტამენტში არ არის შექმნილი შიდა კონტროლის სათანადო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შესყიდვების განხორციელების პროცესში ხარვეზების გამოვლენას და მათ აღმოფხვრას.

## რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები გაფორმდეს არსებული შეთანხმების პირობების და მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და 10 დღის ვადაში ატვირთულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

## 5.2 საავტომობილო გზა „შუახევი-უჩამბა“ მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები

### კრიტიერიუმი

დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, დამთავრებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემული დადებითი დასკვნა, ამასთან განსაზღვრულია ექსპერტისათვის მიმართვის ფორმა, რომლის მიხედვითაც ექსპერტიზისათვის მიმართვა შესრულებულ სამუშაოთა დადასტურების მიზნით უნდა წარადგინოს შემდეგი ფორმით: „წარმოდგენილ სამუშაოთა ფორმა N2-ის მიხედვით გთხოვთ, დაგვიდგინოთ: 1. ფორმა N2-ით წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების სიზუსტე; 2. ფორმა N2-ით წარმოდგენილი სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულებების შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შესაბამის სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებასთან მიმართებაში; 3. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი; 4. გამოყენებული მასალების შესაბამისობა პროექტით გათვალისწინებულ მასალებთან.“

### გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტმა შუახევის მუნიციპალიტეტის 5.2 ს/გზა „შუახევი-უჩამბა“ კმ0+000 - კმ3+500 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გააფორმა ხელშეკრულება<sup>4</sup> მიმწოდებელთან, სახელშეკრულებო ღირებულებით 940 450 ლარი. ხელშეკრულების თანახმად დამთავრებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა არ დაიცვა ზემოთ აღნიშნული პირობები და ექსპერტიზისაგან მოითხოვა დაედგინა შეესაბამებოდა თუ არა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები საპროექტო-

<sup>4</sup> ხელშეკრულება N84, 7 აპრილი 2015 წელი

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ასევე დაედგინა შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება. ექსპერტიზის დასკვნის გამოკვლევის მიხედვით აზომვები ჩატარებულია ხილულ სამუშაოებზე, ხოლო იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო, გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტებით, ხოლო იმ სამუშაოებზე რომლებზედაც არ არის წარმოდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები, გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. სამუშაოები რომლებიც ექსპერტიზის წარმოების პერიოდში შეუძლებელი იყო შედარებულიყო წარმოდგენილ ნახაზებთან, მაგალითად: ბეტონის მოცულობა, არმატურის სახეობა და მათი რაოდენობა და სხვა სამუშაოები, რომლებიც უხილავია, მათი ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივაა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განხორციელდა სამუშაოთა მიღება და საბოლოო ანგარიშსწორება.

### **დასკვნა**

დეპარტამენტში არ ხდება სათანადო კონტროლის განხორციელება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საქსპერტო დასკვნაზე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას.

### **რეკომენდაცია**

დეპარტამენტმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა მიღება განახორციელოს ისეთი საქსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც პასუხობს ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს.

## **6 გამარტივებული შესყიდვები**

### **კრიტერიუმი**

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ თანახმად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვისას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხდება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

### **გამოვლენილი გარემოება**

დეპარტამენტის მიერ 2015 წლის განმავლობაში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია 51 ხელშეკრულება, საიდანაც 2 ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა. დეპარტამენტმა განახორციელა 1 535 845 ლარის გადახდა იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ მომხდარა ინფორმაციის წარდგენა ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ. დეპარტამენტის განმარტებით, ვინაიდან შესასყიდ ობიექტებზე უკვე

მზად იყო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული ღირებულებები, შესრულებული სამუშაოების ღირებულება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით არ განხორციელებულა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

## დასკვნა

დეპარტამენტის მიერ 2015 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენლობის პირობებში.

## რეკომენდაცია

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შემთხვევაში, დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება დადგენილი წესის შესაბამისად, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

## 7 ინვენტარიზაცია

### კრიტერიუმი

მოქმედი რეგულაციებით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ახორციელებს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას<sup>5</sup>. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით ორგანიზაციაში გაიზრდება წმინდა ღირებულება, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი<sup>6</sup>. საჯარო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, დადგენილი წესით, იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ<sup>7</sup>.

<sup>5</sup> საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13 მუხლი

<sup>6</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი

<sup>7</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

## გამოვლენილი გარემოება

დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ<sup>8</sup>, 2015 წელს, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მატერიალური ფასეულობები, რომლებიც არ ირიცხებოდა დეპარტამენტის ბალანსზე. მოქმედი კანონმდებლობით, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით ორგანიზაციაში არ გაზრდილა წმინდა ღირებულება, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი.

ინვენტარიზაციის მასალების აუდიტით გამოვლინდა, რომ დადგენილი წესით, ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან.

## დასკვნა

მოქმედი კანონმდებლობით, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით ორგანიზაციაში არ გაზრდილა წმინდა ღირებულება, როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი.

## რეკომენდაცია

დეპარტამენტმა უზრუნველყოს:

- ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი, დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში არსებული მატერიალური ფასეულობების ღირებულებითი შეფასება და შესაბამისად, ორგანიზაციის წმინდა ღირებულების გაზრდა;
- მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან წერილობითი ხელშეკრულებების გაფორმება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

## აუდიტის ჯგუფის წევრები:

უფროსი აუდიტორი /ჯგუფიდ ხელმძღვანელი/ ირაკლი ანანიძე

უფროსი აუდიტორი /ჯგუფის წევრი/ გურამ დუმბაძე

აუდიტორი /ჯგუფის წევრი/ მათია მუჯირიშვილი

აუდიტორი /ჯგუფის წევრი/ მინდია ჯორთმენაძე

აუდიტორ-ასისტენტი /ჯგუფის წევრი/ მარინე პრიხოძკო

26.12.2016წ.

<sup>8</sup> ბრძანება N158, 25 ნოემბერი 2015 წელი